სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: ცოდნა და დამოკიდებულება

საზოგადოებრივი კვლევის ანგარიში
მომზადდა პროექტისთვის
„დისკრიმინაციის, სიძულვილით
მოტივირებული დანაშაულისა და
სიძულვილის ენის წინააღმდეგ
ბრძოლა საქართველოში“

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: ცოდნა და დამოკიდებულება

Hate Crime, Hate Speech and Discrimination in Georgia: Attitudes and Awareness
სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: ცოდნა და დამოკიდებულება

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: ცოდნა და დამოკიდებულება

კვლევა ჩატარდა CRRC საქართველოს მიერ პროექტისთვის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“

ტექსტი შექმნილია და გამოიყენება ევროპის საბჭოს ნებართვით. ეს დოკუმენტი გამოქვეყნდა ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით, მაგრამ მთარგმნელის მთლიანი პასუხისმგებლობის ქვეშ.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორ(ებ)ს და შეიძლება არ ასახავდეს ევროპის საბჭოს მოსაზრებებს.

ამონაწერების გამრავლება (500 სიტყვამდე) ნებადართულია, გარდა კომერციული მიზნებისა, თუ დაცულია ტექსტის მთლიანობა, ამონაწერი არ გამოიყენება კონტექსტის მიღმა, არ იძლევა არასრულ ინფორმაციას ან სხვაგვარად არ შეჰყავს მკითხველი შეცდომაში ტექსტის ბუნების, მოცულობის ან შინაარსის მიხედვით. ორიგინალი ტექსტი ყოველთვის უნდა იყოს მითითებული შემდეგნაირად: „© ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“. ყველა სხვა მოთხოვნა, რომელიც ეხება დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილის გამრავლებას/ თარგმნას, უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

ყველა სხვა მოთხოვნა, რომელიც ეხება ამ პუბლიკაციას, უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

© ევროპის საბჭო, 2022 წლის თებერვალი

CRRC-საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. CRRC-საქართველო სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრებთან ერთად ქმნის კვლევითი ცენტრების ქსელს, რომლის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარება სამხრეთ კავკასიაში.

სარჩევი

** გრაფიკების სარჩევი** 4

მოკლე მიმოხილვა 7

შესავალი 11

მეთოდოლოგია 14

რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება 14

გამოკითხვის ინსტრუმენტი 14

შერჩევა 15

რაოდენობრივი გამოკითხვის ანალიზი 15

თვისებრივი მონაცემების შეგროვება 16

კვლევის მიგნებები 18

ცვლილებები დამოკიდებულებებში 18

მრავალფეროვნება 18

დამოკიდებულება უმცირესობათა კონკრეტული ჯგუფების მიმართ 23

უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებები 27

დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოვლინებები ქართულ საზოგადოებაში 31

სიძულვილის ენის აღქმა 40

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღქმა 43

ინფორმაცია უმცირესობების მიმართ მტრული განწყობით განპირობებული გახმაურებული შემთხვევების შესახებ 46

საქართველოს კანონმდებლობა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ 48

სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმები და მათი ეფექტიანობა 52

დამოკიდებულება დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლი ინსტიტუტების/აქტორების მიმართ 56

დასკვნები 59

გრაფიკების სარჩევი

გრაფიკი 1: გამოკითხვის მახასიათებლები 15

გრაფიკი 2: თვისებრივი მონაცემების შეგროვების მახასიათებლები 16

გრაფიკი 3: პირველად რომელი უმცირესობების ჯგუფი გახსენდებათ? 19

გრაფიკი 4: დამოკიდებულებები მრავალფეროვნების მიმართ 20

გრაფიკი 5: მრავალფეროვნების მიმართ დადებითი დამოკიდებულების მიზეზები 22

გრაფიკი 6: მრავალფეროვნების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზები 22

გრაფიკი 7: მოუწონებდით თუ არა თქვენნაირ ადამიანებს საქმიან ურთიერთობას სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან? 24

გრაფიკი 8: ჯგუფები, რომლებსაც რესპონდენტები მეზობლად არ ისურვებდნენ 26

გრაფიკი 9: უმცირესობების უფლებების აღიარება 28

გრაფიკი 10: უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფის უფლებების დაცვის მნიშვნელობა 30

გრაფიკი 11: ეთნიკური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები 32

გრაფიკი 12: ეთნიკური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები ეთნიკური კუთვნილების მიხედვით 33

გრაფიკი 13: რელიგიური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები 34

გრაფიკი 14: რელიგიური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები რელიგიური მიმდევრობის მიხედვით 35

გრაფიკი 15: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მნიშვნელოვანი პრობლემები 36

გრაფიკი 16: ქალებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები 37

გრაფიკი 17: ქალებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები სქესის მიხედვით 38

გრაფიკი 18: ლგბტ ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები 39

გრაფიკი 19: ჯგუფები, რომელთა მიმართაც საქართველოში ყველაზე ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას 41

გრაფიკი 20: სხვადასხვა ჯგუფის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების სიხშირე 42

გრაფიკი 21: ჯგუფები, რომლებიც ყველაზე ხშირად ხდებიან საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები 44

გრაფიკი 22: რამდენად ხშირად ხდებიან შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები საქართველოში 45

გრაფიკი 23: ინფორმაცია გახმაურებული ინციდენტების შესახებ 47

გრაფიკი 24: ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ ცოდნა 49

გრაფიკი 25: სიძულვილის ენის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა და მისი შეფასება 50

გრაფიკი 26: დამოკიდებულება სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის მიმართ 51

გრაფიკი 27: დამოკიდებულება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კრიმინალიზაციის მიმართ 51

გრაფიკი 28: ჯგუფები, რომელთათვის მიმართვაც, მოსახლეობის აზრით, მათ შეუძლიათ, თუკი სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები გახდებიან 53

გრაფიკი 29: ვის მიმართავდა ხალხი, თუკი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი გახდებოდა 53

გრაფიკი 30: ვისთვის მიმართვას შეძლებდა ხალხი, თუკი მედიით სიძულვილის ენის გავრცელებას შეამჩნევდა 54

გრაფიკი 31: ვის მიმართავდნენ ადამიანები, თუკი მედიით სიძულვილის ენის გავრცელებას შეამჩნევდნენ 55

გრაფიკი 32: მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სახალხო დამცველის როლის შესახებ 56

გრაფიკი 33: ნდობა ინსტიტუტების მიმართ 57

გრაფიკი 34: ინსტიტუტების მუშაობის შეფასება 58

მოკლე მიმოხილვა

სიძულვილის ენა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და დისკრიმინაცია საქართველოში, ცალსახად, პრობლემაა და არაერთი მიმართულებით ვლინდება, ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ ძალადობის გახმაურებული შემთხვევებით დაწყებული, დისკრიმინაციის იმ ყოველდღიური გამოცდილებით დამთავრებული, რასაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან. სიძულვილის ენის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად ევროპის საბჭომ 2018-დან 2021 წლამდე პერიოდში განახორციელა პროექტი „ბრძოლა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ საქართველოში“. პროექტი დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მისი სამეზობლო პროგრამის (DANEP) ფარგლებში დააფინანსა. მისი მიზანი იყო „საჯარო პოლიტიკის შემქმნელების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების, სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უზრუნველყოფა სპეციალური ცოდნით, მათი კომპეტენციის გაზრდა, ადვოკატირება და ცნობიერების ამაღლება“, რათა შემდგომში მათ თავად ემუშავათ კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებაზე, მის ეფექტიან განხორციელებასა და ამ საკითხების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე.[1]

სიძულვილის ენის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ კვლევის ჩასატარებლად ევროპის საბჭომ CRRC-საქართველო დაიქირავა. საბოლოო კვლევა ამავე ორგანიზაციის მიერ 2018 წელს ევროპის საბჭოსთვის განხორციელებულ კვლევასთან სრულ თანხვედრაშია.

კვლევა ექვს კონკრეტულ თემას ეხება:

- ინფორმირებულობა საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების შესახებ საქართველოში და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ;
- ინფორმირებულობა უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების შესახებ და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ;
- ინფორმირებულობა საქართველოში დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენის გამოვლინებისა და იმის შესახებ, თუ ვისზე ახდენს ეს გავლენას;
- ინფორმირებულობა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის კანონმდებლობის შესახებ;

1 იხ. ევროპის საბჭო, 2018, ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/national-implementation/georgia-fight-against-discrimination-hate-crimes-and-hate-speech-in-georgia.

- ინფორმირებულობა სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ;
- დამოკიდებულება ამ საკითხებზე სხვადასხვა აქტორის მიერ გაწეული სამუშაოს მიმართ.

დასახელებული საკითხების შესასწავლად ანგარიში შერეული მეთოდების მიდგომას მიჰყვება და იყენებს მონაცემებს 2018 წლის გამოკითხვიდან, რომელიც 2021 წელს განმეორებით ჩატარდა, ასევე ინფორმაციას სიღრმისეული ინტერვიუებიდან და ფოკუსჯგუფებიდან. სამივე მეთოდის მიზანია საკვლევი საკითხების შესწავლა. კვლევის თვისებრივი მეთოდით შეგროვებული ინფორმაცია გამოყენებულია ზემოთ დასახელებულ თემებზე ჩასაღრმავებლად, რაც რაოდენობრივი გამოკითხვის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა.

ამ ანგარიშში წარმოდგენილ მონაცემებს ზემოთ ჩამოთვლილ თემებთან დაკავშირებით გარკვეულ დასკვნებამდე მივყავართ.

კვლევა აჩვენებს, რომ ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების შესახებ ინფორმირებულობის დონე და ამ საკითხის მიმართ დადებითი დამოკიდებულება 2018-დან 2021 წლამდე პერიოდში გაზრდილია. ადამიანებს ახლა უფრო უადვილდებათ უმცირესობის ჯგუფის დასახელება, როცა ეკითხებიან - პირველად რომელი ჯგუფი ახსენდებათ, როცა უმცირესობებზე ფიქრობენ. საზოგადოებას ახლა უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვს, ზოგადად, მრავალფეროვნების და ასევე ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ.

ხალხის დამოკიდებულება უმცირესობების კონკრეტული ჯგუფების მიმართაც უკეთესობისკენაა შეცვლილი, მათ შორის, ისეთი ჯგუფების შემთხვევაში, რომელთა მიმართაც საზოგადოება ყველაზე მტრულად არის განწყობილი. 16 პროცენტითაა გაზრდილი იმ პირთა წილი, რომლებიც ადამიანებს არაბებთან საქმიან ურთიერთობას მოუწონებდნენ და 15 პროცენტით - აფრიკელების შემთხვევაში. ორი ჯგუფი, რომლებთანაც საქმიან ურთიერთობას 2018 წლის გამოკითხვაში ადამიანებს არ მოუწონებდნენ, ჰომოსექსუალები და იეჰოვას მოწმეები იყვნენ. იმავეს ადასტურებს 2021 წლის მონაცემებიც. თუმცა, იმ პირების რაოდენობა, რომლებიც ადამიანებს იეჰოვას მოწმეებთან საქმიან ურთიერთობას მოუწონებდნენ, 13 პროცენტით გაიზარდა, ჰომოსექსუალების შემთხვევაში - 10 პროცენტით. მართალია, სხვადასხვა ჯგუფთან საქმიანი ურთიერთობა სოციალური კავშირის შედარებით სუსტი ფორმაა (მაგალითად, ქორწინებასთან შედარებით), თუმცა, მონაცემების მიხედვით, 2018-დან 2021 წლამდე პერიოდში რამდენიმე ასეული ადამიანის დამოკიდებულება უფრო მეტად ტოლერანტული გახდა.

2018-2021 წლების შუალედში საზოგადოება უფრო მეტად გათვითცნობიერებულია და მეტი მიმღებლობა აქვს უმცირესობების უფლებების მიმართ. თოთხმეტი უფლებიდან, რომელთა შესახებაც რესპონდენტებს ჰკითხეს, მოსახლეობა 2021 წელს, საშუალოდ, 1.2-ით უფრო მეტს ასახელებს, ვიდრე 2018 წელს. მონაცემები მიუთითებს, რომ ყოველი ექვსი ადამიანიდან ერთი აღიარებს უმცირესობების

უფლებას, მონაწილეობა მიიღონ ეროვნული საკითხების გადაწყვეტაში. ყოველი შვიდი ადამიანიდან ერთი აღნიშნავს, რომ უმცირესობებს უფლება აქვთ, დასაქმდნენ საჯარო სამსახურში, პროტესტი გამოხატონ საჯარო სივრცეში და არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წამოაყენონ. მცირე დადებითი ცვლილება სხვა უფლებების შემთხვევაშიც გამოვლინდა.

მოსახლეობა ასევე უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს უმცირესობების უფლებების დაცვას. ამ მხრივ საზოგადოების დამოკიდებულების დადებითი ცვლილება არა მხოლოდ, ზოგადად, უმცირესობების უფლებების დაცვას ეხება, არამედ ხაზგასასმელია ლგბტ თემის უფლებების დაცვის მნიშვნელობის აღიარება. თუკი 2018 წელს მოსახლეობის 42 პროცენტი მიიჩნევდა, რომ ლგბტ თემის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი არ იყო, 2021 წელს მხოლოდ 29 პროცენტი ამბობდა იმავეს. მსგავსად ამისა, 2018 წელს 33 პროცენტიდან 2021 წელს 47 პროცენტამდე გაიზარდა იმ ადამიანების წილი, რომლებიც ლგბტ თემის უფლებების დაცვას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.

2018 წლის მსგავსად, 2021 წლის გამოკითხვაშიც არსებითი სხვაობაა საქართველოში უმცირესობისა და უმრავლესობის წარმომადგენლების აღქმაში იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც უმცირესობების ჯგუფები აწყდებიან. თუმცა, ახლა უმრავლესობის წარმომადგენლებიც შედარებით მეტად აღიარებენ იმ სირთულეებს, რომლებთან შეჯახებაც უმცირესობის წარმომადგენლებს უწევთ. 2018-დან 2021 წლამდე შუალედში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის წილი, რომელიც ამბობს, რომ ეთნიკურ, რელიგიურ უმცირესობებს, ქალებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ლგბტ თემის წარმომადგენლებს პრობლემები არ აქვთ. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ გაზრდილია ცნობიერება იმ პრობლემების მიმართ, რომელთა წინაშეც უმცირესობები დგანან.

უმცირესობების პრობლემების შესახებ გაზრდილი ცნობიერება სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მიმართ მოსახლეობის შეხედულებებშიც ვლინდება. მონაცემების მიხედვით, 2018 წელთან შედარებით, საზოგადოების მეტი წილი ამბობს, რომ სიძულვილის ენა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული საქართველოში პრობლემური საკითხებია. გარდა ამისა, 25 ჯგუფის შესახებ კითხვებზე, რამდენად ხშირად იყენებენ მათ მიმართ სიძულვილის ენას და რამდენად ხშირად ხდებიან ისინი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები, ბევრი ჯგუფის შემთხვევაში მნიშვნელოვნად იკლო პასუხმა „არასდროს“. ეს მონაცემებიც ადასტურებს, რომ საზოგადოება მეტად აღიარებს იმ სირთულეებს, რომლებსაც უმცირესობების წარმომადგენლები აწყდებიან, განსაკუთრებით, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მხრივ.

იმის მიუხედავად, რომ საზოგადოება უფრო მეტად აღიარებს სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოწვევებს, მონაცემები აჩვენებს, რომ ბევრს ჯერ კიდევ არ სმენია უმცირესობის ჯგუფების მიმართ მტრული განწყობის გამო მომხდარი გახმაურებული ინციდენტების შესახებ. რვა ადამიანიდან ერთს ახსოვს ნეონაცისტების მიერ მოკლული ვიტალი საფაროვის შემთხვევა. მოსახლეობის მხოლოდ ორ მესამედს ჰქონდა ინფორმაცია 5 ივლისს

„თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევის შესახებ. მართალია, შედარებით ნაკლებ ადამიანს სმენოდა გამოკითხვაში ნახსენები ინციდენტების შესახებ, თუმცა, ვინც ამის თაობაზე იცოდა, იმ მოსაზრებისკენ იხრებოდა, რომ ეს ინციდენტები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს მიეკუთვნებოდა.

2018-დან 2021 წლამდე თვალშისაცემად უმნიშვნელოდაა შეცვლილი მოსახლეობის დამოკიდებულება და ცოდნა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის შესახებ კანონმდებლობაზე. ამ მხრივ, საზოგადოების ცნობიერება და განწყობები 2018 და 2021 წლების გამოკითხვებში ერთ დონეზე დარჩა.

ისევე, როგორც კანონმდებლობის შემთხვევაში, საქართველოში საზოგადოების შეხედულებები რეაგირების მექანიზმებსა და დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ აქტორებზე 2018-დან 2021 წლამდე პერიოდში არსებითად არ შეცვლილა. კვლევის შედეგების მიხედვით, ბევრმა ადამიანმა იცის, რომ დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევებთან დაკავშირებით შეუძლია, მიმართოს პოლიციას, სასამართლოს, სახალხო დამცველის ოფისსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა მოსახლეობის ცოდნა და სურვილი, რომ რეალურად მიმართონ ამ უწყებებს.

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მიმართ დამოკიდებულება, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა მოსახლეობის ნდობა სიძულვილის ენის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული აქტორების მიმართ. ასევე, დიდი სხვაობა არ გამოვლენილა ამ მიმართულებით მათი მუშაობის შეფასებაში.

შესავალი

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ეს სიძულვილით მოტივირებულ ფართომასშტაბიან მოვლენებში გამოიხატება, როგორიცაა 2021 წლის 5 ივლისს ლგბტ თემის საწინააღმდეგო გამოსვლები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ეს იყო ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული მეორე დიდი აქცია. თუმცა, ლგბტ თემი არ არის ერთადერთი, რომელიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის სამიზნე ხდება. ქვეყანაში დისკრიმინაციას ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სხვა ჯგუფებიც აწყდებიან. ზოგჯერ ეს ვლინდება ისეთ მასშტაბურ ქმედებებში, როგორიც 5 ივლისის აქცია იყო, თუმცა, ასევე გამოიხატება სირთულეებში, რომელთა გადალახვა იეჰოვას მოწმეებს ქონების რეგისტრაციისას, ან მიგრანტთა ზოგიერთი ჯგუფის წარმომადგენლებს საბანკო სერვისების მიღებისას უწევთ.[2] გარდა ამისა, დისკრიმინაცია იკვეთება უფრო შეუმჩნეველ და გავრცელებულ ფორმებში, რომელთა შესახებ კარგი მაგალითებია მოყვანილი 2018 წლის ანგარიშში: „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: ცოდნა და დამოკიდებულება“.[3] ანგარიში აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრით, უმცირესობის ჯგუფებს არანაირი პრობლემა არ აქვთ. ამავე ანგარიშის მიხედვით, მოსახლეობა განსაკუთრებით უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა იეჰოვას მოწმეებისა და ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმართ. ყველა ეს საკითხი მიუთითებდა იმაზე, რომ საქართველო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის პრობლემის წინაშე დგას.

არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ევროპის საბჭომ 2018-2021 წლებში განახორციელა პროექტი „ბრძოლა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ საქართველოში“. პროექტს აფინანსებდა დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, მისი სამეზობლო პროგრამის (DANEP) ფარგლებში. პროექტი მრავალგვარ აქტივობას მოიცავდა, მათ შორის იყო პირდაპირი მუშაობა სამართალდამცავ და სასამართლო უწყებებთან, ასევე საჯარო კამპანია საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.[4] იმ ცვლილებების შესასწავლად, რომლებიც პროექტის

2 იხ. სახალხო დამცველის აპარატი, 2021, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.

3 იხ. ევროპის საბჭო, 2018, ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/downloads/Hate%20Speech_ENG.pdf.

4 მეტი ინფორმაცია პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებგვერდზე: https://www.coe.int/en/web/tbilisi/fighting-discrimination-hate-crime-and-hate-speech-in-georgia.

მიმდინარეობისას მოსახლეობის დამოკიდებულებებში გამოვლინდა, ევროპის საბჭომ CRRC-საქართველოს დაუკვეთა კვლევა საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის მიმართ დამოკიდებულებების შესახებ.

ამ საკითხებზე პასუხების გასაცემად და საზოგადოების დამოკიდებულებაში შესაძლო ცვლილებების გამოსავლენად კვლევის ფარგლებში შესწავლილია შემდეგი თემები:

- ინფორმირებულობა საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების შესახებ საქართველოში და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ;
- ინფორმირებულობა უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების შესახებ და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ;
- ინფორმირებულობა საქართველოში დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოვლინებისა და იმის შესახებ, თუ ვისზე ახდენს ეს გავლენას;
- ინფორმირებულობა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის კანონმდებლობის შესახებ;
- ინფორმირებულობა სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ;
- დამოკიდებულება ამ საკითხებზე სხვადასხვა აქტორის მიერ გაწეული სამუშაოს მიმართ.

ამ მიზნის მისაღწევად კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდები. იგი მოიცავს ნაწილობრივ პანელურ გამოკითხვას, რომელიც 2021 წელს ჩატარდა და იმეორებს 2018 წლის საბაზისო გამოკითხვას, ასევე ფოკუსჯგუფებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებს ინფორმირებულ პირებთან, რომლებიც, ერთი მხრივ, წარმოადგენდნენ სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფს, მეორე მხრივ კი - სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე, სიძულვილის ენასა და დისკრიმინაციის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებს.

ანგარიშის სტრუქტურის შესაბამისად, მომდევნო თავი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას ეთმობა. მას მოჰყვება კვლევის შედეგების თავი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია 2018 და 2021 წლებში საზოგადოების დამოკიდებულებებს შორის სხვაობასა და მომხდარ ცვლილებებზე. ამ თავის თითოეული ქვეთავი დაყოფილია შემდეგი თემების მიხედვით: ინფორმირებულობა ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების შესახებ და ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება; ინფორმირებულობა უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების შესახებ და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ; ინფორმირებულობა საქართველოში დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოვლინებისა და იმის

შესახებ, თუ ვისზე ახდენს ეს გავლენას; ინფორმირებულობა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის კანონმდებლობის შესახებ; ინფორმირებულობა არსებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ; ამ საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა აქტორის საქმიანობის შეფასება. ანგარიშის ბოლოს მოცემულია დასკვნების თავი.

მეთოდოლოგია

ზემოთ ნახსენებ ძირითად საკვლევ საკითხებზე პასუხების გასაცემად დოკუმენტში გამოყენებულია შერეული მეთოდები, რაც თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს გულისხმობს. ანგარიშის ეს თავი თავდაპირველად აღწერს რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სტრატეგიას, შემდეგ კი - თვისებრივი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის პროცესს.

რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება

გამოკითხვის ინსტრუმენტი

კვლევაში გამოყენებული გამოკითხვის ინსტრუმენტი 2018 წელს შეიმუშავეს. 2021 წელს იგი მხოლოდ მცირედით შეიცვალა და შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- ინფორმირებულობა საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების შესახებ საქართველოში და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ;
- ინფორმირებულობა უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების შესახებ და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ;
- ინფორმირებულობა საქართველოში დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოვლინებისა და იმის შესახებ, თუ ვისზე ახდენს ეს გავლენას;
- ინფორმირებულობა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის კანონმდებლობის შესახებ;
- ინფორმირებულობა სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ;
- დამოკიდებულება ამ საკითხებზე სხვადასხვა აქტორის მიერ გაწეული სამუშაოს მიმართ;
- რესპონდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები.

გამოკითხვის ინსტრუმენტში 2021 წელს შეტანილი ცვლილებები მინიმალური იყო, რათა შესაძლებელი გამხდარიყო 2018 და 2021 წლების გამოკითხვების შედეგების შედარება. ცვლილებები ეხებოდა კამპანიების სახელებს და იმ კონკრეტულ მოვლენებს, რომელთა შესახებაც რესპონდენტებს ეკითხებოდნენ. ეკონომიკური ცვლადების ნაწილი, რომელიც საბაზისო კვლევის ანგარიშში არ გამოიყენეს, საბოლოო კვლევიდანაც გამოირიცხა.

შერჩევა

2018 წელს კომპლექსური კლასტერული და სტრატიფიცირებული მიდგომის გამოყენებით საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობითი შერჩევა განხორციელდა. კლასტერებს საარჩევნო უბნები განეკუთვნებოდა. სტრატები მოიცავდა თბილისს, სხვა ქალაქებს, სოფლებს, სომხეთით, ასევე აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებს. 2021 წელს CRRC-საქართველოს წარმომადგენლები გამოკითხვის საველე სამუშაოების ჩასატარებლად იმავე კლასტერებში დაბრუნდნენ, სადაც ნაწილობრივ პანელური გამოკითხვა ჩაატარეს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში გამოკითხვის ძირითადი მახასიათებლებია თავმოყრილი, მათ შორის: შერჩევის ზომა, გამოპასუხების დონე და ცდომილების ზღვარი.

გრაფიკი 1: გამოკითხვის მახასიათებლები

წელი	შერჩევის ზომა	ცდომილების ზღვარი	გამოპასუხების დონე
2018	2205	2.9%	49%
2021	2138	2.5%	38%

რაოდენობრივი გამოკითხვის ანალიზი

დამოკიდებულებებში მომხდარი ცვლილებების გამოსავლენად ანგარიშში გამოყენებულია აღწერითი სტატისტიკა, სიხშირეები და კროსტაბულაციები. ამ მხრივ, შედარების მთავარი ინტერესი 2018 და 2021 წლებს შორის სხვაობაა. ამ სხვაობის მნიშვნელობა მულტივარიაციული რეგრესიების მეშვეობით მოწმდება, რომლებიც ადასტურებს, არის თუ არა შესამჩნევი ცვლილებები 2018 და 2021 წლების მონაცემებს შორის. იმის გასაგებად, რამდენად შეიცვალა დამოკიდებულებები სხვადასხვა ჯგუფს შორის, გამოყენებულია მულტივარიაციული რეგრესიული ანალიზი. ის წლისა და ჯგუფის სტატუსის ინტერაქციით ამოწმებს, რამდენად მნიშვნელოვანია ცვლილება ჯგუფებში 2018 და 2021 წლებში. 2021 წელს საკუთრივ ჯგუფებს შორის დამოკიდებულებათა სხვაობის შესამოწმებლად გამოყენებულია იგივე რეგრესია მხოლოდ გამოკითხვის ბოლო ტალღის მონაცემების გამოყენებით. რეგრესია შემდეგი ცვლადების გავლენას აკონტროლებს:

- ასაკობრივი ჯგუფები (18-34, 35-54, 55+);
- სქესი (კაცი ან ქალი);
- დასახლების ტიპი (დედაქალაქი, სხვა ქალაქები, სოფლები);
- ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობის სტატუსი (უმცირესობაა თუ არა);
- კეთილდღეობა (რესპონდენტის ოჯახის მიერ გრძელვადიანი მოხმარების ნივთების ფლობის მარტივი კრებითი ინდექსი, ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის საზომად ხშირად გამოყენებული მეთოდი);

- განათლება (საუნივერსიტეტო განათლება აქვს თუ არა);
- მშობლების განათლება (ერთ-ერთ მშობელს მაინც აქვს თუ არა საუნივერსიტეტო განათლება);
- დასაქმების სტატუსი (მუშაობს თუ არა);
- ოჯახში ბავშვების ყოფნა (ჰყავთ თუ არა ოჯახში ბავშვები);
- იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი (იძულებით გადაადგილებული პირი არის თუ არა).

ანგარიშში წარმოდგენილი ანალიზი მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვან ცვლილებებს მოიცავს, რაც ზემოთ ნახსენები ტესტებით დასტურდება ($p<0.05$).

თვისებრივი მონაცემების შეგროვება

ზოგიერთი საკითხის არა რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი კუთხით შესასწავლად კვლევაში გამოყენებულია ფოკუსჯგუფები და საკვანძო ინფორმირებულ პირებთან სიღრმისეული ინტერვიუები. თვისებრივი მონაცემების შეგროვება მოიცავდა რვა ფოკუსჯგუფსა და 16 სიღრმისეულ ინტერვიუს. კვლევის სადისკუსიო გეგმები ეხებოდა მრავალ საკითხს, თუმცა, ძირითადად, იმ თემებს, რომლებზეც რაოდენობრივი მაჩვენებლების თავმოყრისას კეთდებოდა აქცენტი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ინფორმაცია შეგროვებული თვისებრივი მონაცემების შესახებ.

გრაფიკი 2: თვისებრივი მონაცემების შეგროვების მახასიათებლები

№	მონაცემების შეგროვების ტიპი	სამიზნე ჯგუფი
1	ფოკუსჯგუფი	ეთნიკურად ქართველი კაცები რეგიონებიდან
2	ფოკუსჯგუფი	ეთნიკურად ქართველი ქალები რეგიონებიდან
3	ფოკუსჯგუფი	ეთნიკურად აზერბაიჯანელი კაცები
4	ფოკუსჯგუფი	ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები
5	ფოკუსჯგუფი	ეთნიკურად სომეხი კაცები
6	ფოკუსჯგუფი	ეთნიკურად სომეხი ქალები
7	ფოკუსჯგუფი	ეთნიკურად ქართველი კაცები თბილისიდან
8	ფოკუსჯგუფი	ეთნიკურად ქართველი ქალები თბილისიდან
1	სიღრმისეული ინტერვიუ	ქართველი მუსლიმი 1
2	სიღრმისეული ინტერვიუ	ქართველი მუსლიმი 2
3	სიღრმისეული ინტერვიუ	შშმ პირი 1
4	სიღრმისეული ინტერვიუ	შშმ პირი 2

5	სიღრმისეული ინტერვიუ	ლგბტ თემის წარმომადგენელი 1
6	სიღრმისეული ინტერვიუ	ლგბტ თემის წარმომადგენელი 2
7	სიღრმისეული ინტერვიუ	იმიგრანტი 1
8	სიღრმისეული ინტერვიუ	იმიგრანტი 2
9	სიღრმისეული ინტერვიუ	ქურთი/იეზიდი
10	სიღრმისეული ინტერვიუ	იეჰოვას მოწმე
11	სიღრმისეული ინტერვიუ	კათოლიკე
12	სიღრმისეული ინტერვიუ	შინაგან საქმეთა სამინისტრო
13	სიღრმისეული ინტერვიუ	სახალხო დამცველის აპარატი
14	სიღრმისეული ინტერვიუ	მოსამართლე
15	სიღრმისეული ინტერვიუ	პროკურორი 1
16	სიღრმისეული ინტერვიუ	პროკურორი 2

ყველა ინტერვიუსა და ფოკუსჯგუფის ჩატარების შემდეგ მომზადდა მათი ტრანსკრიპტი, რომელიც შემდგომ გაანალიზდა საკვლევი საკითხების თვისებრივი კუთხით შესასწავლად.

კვლევის მიგნებები

კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება შეცვლილია. ამ თავში აღწერილია კვლევის შედეგად გამოვლენილი ასპექტები, რომლებიც ქვეთავებადაა ჩაშლილი შემდეგი თემების მიხედვით: ინფორმირებულობა ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების შესახებ და ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება; ინფორმირებულობა უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების შესახებ და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ; ინფორმირებულობა საქართველოში დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოვლინებისა და იმის შესახებ, თუ ვისზე ახდენს ეს გავლენას; ინფორმირებულობა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის კანონმდებლობის შესახებ; ინფორმირებულობა სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ; ამ საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა აქტორის საქმიანობის შეფასება. ტექსტში აღნიშნულია ჯგუფებსა და გამოკითხვის ორ ტალღას შორის (2018 და 2021 წლებში) გამოვლენილი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები. მკითხველს შეუძლია, ივარაუდოს, რომ ანგარიშში შესაბამისი მითითების არარსებობის შემთხვევაში, მეთოდოლოგიის თავში ჩამოთვლილ ჯგუფებს შორის სხვა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება არ გამოკვეთილა.[5]

ცვლილებები დამოკიდებულებებში

მრავალფეროვნება

საქართველო მრავალფეროვანი ქვეყანაა, სადაც არაერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი და სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანი ცხოვრობს. გარდა ამისა, რეგიონების მიხედვით, გარკვეულწილად, იდენტობაც განსხვავებულია და ენის დიალექტებსაც ვხვდებით. მრავალფეროვნების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად და ამ კუთხით შესაძლო ცვლილებების გამოსავლენად რესპონდენტებს ჰკითხეს, უმცირესობებზე ფიქრისას თავდაპირველად რომელი ჯგუფი ახსენდებოდათ, როგორი იყო მათი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ და რატომ ჰქონდათ ასეთი შეხედულებები.

5 ეს ჯგუფები შემდეგი მახასიათებლების მიხედვითაა გამოყოფილი: ასაკობრივი ჯგუფები, სქესი, დასახლების ტიპი, უმცირესობის სტატუსი, კეთილდღეობა, განათლების დონე, მშობლების განათლება, დასაქმების სტატუსი და რესპონდენტის ოჯახში ბავშვების ყოფნა.

რაც შეეხება უმცირესობების ჯგუფს, რომელიც ხალხს პირველად ახსენდებოდა, 2018-დან 2021 წლამდე პერიოდის მონაცემები მნიშვნელოვან ცვლილებებზე მიუთითებს. 2018 წელს ამ კითხვაზე ყველაზე ხშირი, კერძოდ, რესპონდენტთა 36 პროცენტის პასუხი იყო: „არ ვიცი“ ან „არ მახსენდება უმცირესობათა არცერთი ჯგუფი“. 2021 წელს კი მხოლოდ 28 პროცენტმა გაიმეორა იგივე, შესაბამისად, 8 პროცენტიანი სხვაობა გამოვლინდა. თუკი მანამდე რესპონდენტები უმცირესობის ჯგუფს ვერ ასახელებდნენ, მონაცემების მიხედვით, 2021 წელს გახშირდა მათ მიერ ეთნიკური უმცირესობების დასახელების შემთხვევები. ეს შედეგები ემთხვევა ფოკუსჯგუფების მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც, ქართველები უმეტესად ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე საუბრობდნენ და ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ სხვა ჯგუფებზე, ლგბტ თემის წარმომადგენლებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე საუბრისთვის. ამის პარალელურად, ფოკუსჯგუფების მონაწილე უმცირესობების წარმომადგენლები მათივე მსგავს ჯგუფებზე მიუთითებდნენ (მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები სხვა ეთნიკურ უმცირესობებს ახსენებდნენ).

გრაფიკი 3: პირველად რომელი უმცირესობების ჯგუფი გახსენდებათ?



გამოკითხვების ტალღებსა და ჯგუფებს შორის ცნობიერების დონის შემმოწმებელი რეგრესიების შედეგები არსებით ცვლილებებს არ ადასტურებს. 2021 წლის მონაცემებზე ჩატარებული რეგრესიის მიხედვით, ჯგუფებს შორის არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ფიქსირდება. უფროსი ასაკის ადამიანები (55+) ექვსი პროცენტით უფრო ნაკლებად ინფორმირებულნი არიან, ვიდრე 35-54 წლის პირები და რვა პროცენტით უფრო ნაკლებად ინფორმირებულნი, ვიდრე 18-34 წლის მოსახლეობა. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში, ცხრა პროცენტით უფრო მეტად

შეუძლიათ უმცირესობის ჯგუფის დასახელება. უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების მქონე ადამიანებს რვა და თოთხმეტი პროცენტით უფრო მეტად შეუძლიათ უმცირესობის ჯგუფის დასახელება, ვიდრე საშუალო განათლების მქონეებს (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში). იძულებით გადაადგილებულ პირებს რვა პროცენტით უფრო მეტად შეუძლიათ უმცირესობის ჯგუფის დასახელება, ვიდრე მათ, ვინც დევნილი არ არის (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში). თუმცა, ისევ და ისევ მნიშვნელოვანია, რომ ამ სხვაობებით ჯგუფებს შორის კვლევის ორი ტალღის შუალედში არსებითი ცვლილებები არ დასტურდება.

დამოკიდებულებები მრავალფეროვნების მიმართ პროექტის განმავლობაში უფრო დადებითი გახდა. კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ჰკითხეს, ქვეყნისთვის რამდენად დადებით ან უარყოფით მოვლენად მიიჩნევდნენ მრავალფეროვნებას ზოგადად, ეთნიკურ მრავალფეროვნებას და რელიგიურ მრავალფეროვნებას. ზოგადად მრავალფეროვნების მიმართ დადებითი დამოკიდებულება პროექტის განმავლობაში 56-დან 70 პროცენტამდე გაიზარდა და 14-პროცენტიანი სხვაობა დაფიქსირდა. ეთნიკური მრავალფეროვნების კუთხით მონაცემები დადებითი დამოკიდებულების 12-პროცენტიან ზრდაზე მიუთითებს - 56-დან 68 პროცენტამდე, ხოლო რელიგიური მრავალფეროვნების შემთხვევაში 14-პროცენტიან ზრდაზე - 46-დან (2018 წელი) 60 პროცენტამდე (2021 წელი).

გრაფიკი 4: დამოკიდებულებები მრავალფეროვნების მიმართ



მრავალფეროვნების მიმართ დამოკიდებულებათა რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ კონკრეტული ჯგუფების განწყობები გამოკითხვის ორი ტალღის შუალედში არსებითად არ შეცვლილა. თუმცა, 2021 წლის მონაცემების მიხედვით, მნიშვნელოვანი სხვაობაა საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულებებში. ახალგაზრდები (18-34) მრავალფეროვნებას რვა პროცენტით უფრო მეტი ალბათობით აფასებენ დადებით მოვლენად, ვიდრე 55 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა. რაც შეეხება 35-54 ასაკობრივ ჯგუფს, მათ ახალგაზრდა და უფროსი ასაკის ჯგუფებისგან მკვეთრად განსხვავებული დამოკიდებულება არ აქვთ და მათი მოსაზრებები ამ ასაკობრივ კატეგორიებს შორისაა. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს 29 პროცენტით უფრო მაღალი ალბათობით დადებითი დამოკიდებულება აქვთ მრავალფეროვნების მიმართ, ვიდრე ეთნიკურად ქართველებს, რომლებიც უმეტესად მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე პირები 12 პროცენტით უფრო ნაკლებად ამჟღავნებენ დადებით დამოკიდებულებას მრავალფეროვნების მიმართ, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები და შვიდი პროცენტით უფრო ნაკლებად, ვიდრე პროფესიული განათლების მქონე პირები.

რესპონდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ მათი დადებითი თუ უარყოფითი შეხედულებების მიზეზი. შედეგების მიხედვით, რესპონდენტები საკუთარ დადებით დამოკიდებულებას, ძირითადად, ხსნიდნენ იმით, რომ მრავალფეროვნება ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის. ეს მიგნება 2018 და 2021 წლების გამოკითხვებში უცვლელი დარჩა, პასუხებში მხოლოდ მცირე ვარიაცია გამოვლინდა. როგორც 2018 წელს, 2021-შიც მეორე ყველაზე ხშირი პასუხი იყო, რომ მრავალფეროვნება, თავისთავად, დადებითი მოვლენაა. 2018 წლის მსგავსად, მომდევნო ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხები იყო, რომ მრავალფეროვნებას წვლილი შეაქვს ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა მოსაზრებები ქვემოთ დიაგრამაზე წარმოდგენილ შედეგებს ემთხვევა. კვლევის ფარგლებში გამოკითხული სხვადასხვა უწყების თანამშრომლებიც მსგავს მოსაზრებებს გვიზიარებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მრავალფეროვნებას არჩევანის თავისუფლებისკენ, მეტი ემპათიისა და ტოლერანტობისკენ მივყავართ. თუმცა, ამან შეიძლება, საზოგადოებაში დაძაბულობა და კონფლიქტიც გამოიწვიოს. მრავალფეროვნების დადებით მხარეებთან დაკავშირებით მსგავსი მოსაზრება ერთ-ერთმა პროკურორმაც გამოთქვა.

გრაფიკი 5: მრავალფეროვნების მიმართ დადებითი დამოკიდებულების მიზეზები



რაც შეეხება მრავალფეროვნების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზებს, 2018 და 2021 წლების გამოკითხვების მონაცემები მსგავს სურათს აჩვენებს. კითხვაზე, რატომაა მრავალფეროვნება უარყოფითი მოვლენა ქვეყნისთვის, ყველაზე ხშირად პასუხობდნენ, რომ მრავალფეროვნება კულტურასა და ტრადიციებს უქმნის საფრთხეს. მომდევნო ყველაზე ხშირი პასუხი იყო, რომ მრავალფეროვნება ეროვნულ ერთიანობას ასუსტებს.

გრაფიკი 6: მრავალფეროვნების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზები



დამოკიდებულება უმცირესობათა კონკრეტული ჯგუფების მიმართ

გამოკითხვა უმცირესობათა კონკრეტული ჯგუფების მიმართ დამოკიდებულებასაც იკვლევდა. ამასთან დაკავშირებით დასმული იყო კითხვა, მოუწონებდა თუ არა რესპონდენტი მისნაირ ადამიანს საქმიან ურთიერთობას კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენელთან. საერთო ჯამში, მონაცემები ამ დონეზე მიმღებლობასთან დაკავშირებით დადებით ტენდენციაზე მიუთითებს. უფრო კონკრეტულად კი, მონაცემების მიხედვით, ამ ინდიკატორით ტოლერანტობა 16 პროცენტით გაიზარდა არაბების შემთხვევაში, 15 პროცენტით - აფრიკელების შემთხვევაში და 13 პროცენტით - იეჰოვას მოწმეებისა და ირანელების შემთხვევაში. ასევე, 12 პროცენტით გაიზარდა დადებითი დამოკიდებულება ჩინელებისა და ავარების მიმართ, 11 პროცენტით - თურქი მესხების, თურქებისა და ინდოელების მიმართ და 10 პროცენტით - იეზიდების/ქურთებისა და ჰომოსექსუალი ადამიანების მიმართ. მუსლიმებისა და აღმოსავლეთ ევროპელების შემთხვევაში დადებითი პასუხების 9-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო დასავლეთ ევროპელების შემთხვევაში - 8-პროცენტიანი. რესპონდენტები თავისნაირ ადამიანებს 7 პროცენტით უფრო მეტად მოუწონებდნენ საქმიან ურთიერთობას ბოშებსა და ქისტებთან და, 2018 წელთან შედარებით, 5 პროცენტით უფრო მეტად - აფხაზებთან, ებრაელებსა და ამერიკელებთან. სხვა ჯგუფების შემთხვევაში მონაცემები მნიშვნელოვან ცვლილებას არ ადასტურებს, არც მეტად და არც ნაკლებად მოწონების მხრივ.

გრაფიკი 7: მოუწონებდით თუ არა თქვენნაირ ადამიანებს საქმიან ურთიერთობას სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან?



საერთო ჯამში, რაოდენობრივ მონაცემებში გამოვლენილი მოწონების ტენდენცია კვლევის თვისებრივ ნაწილშიც დადასტურდა. რესპონდენტებმა შედარებით დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს უმცირესობათა ისეთი ჯგუფების მიმართ, რომლებსაც ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივი ისტორია აქვთ, მაგალითად, ებრაელები და მუსლიმები, ხოლო შედარებით უარყოფითი დამოკიდებულება მათ მიმართ, ვინც საქართველოში უფრო ცოტა ხანია, ცხოვრობს, მაგალითად, იეჰოვას მოწმეები. ამ პათოსს კარგად ასახავს თბილისელი რესპონდენტის ციტატა: „ქართველები ყოველთვის ტოლერანტები იყვნენ სხვა ტრადიციული რელიგიების

მიმართ და ყოველთვის დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ მათ მიმართ, ვინც სხვანაირად იქცევა და საკუთარ შეხედულებებს აგრესიულად ახვევს სხვებს თავს [რესპონდენტი იეჰოვას მოწმეებზე საუბრობს], ქართველების დამოკიდებულება ვერ იქნება დადებითი და მათთან კარგი ურთიერთობა ვერ ექნებათ“ (კაცი, 66 წლის, თბილისიდან). ამის მიუხედავად, ფოკუსჯგუფების მონაწილეები მიიჩნევდნენ, რომ, ზოგადად, რელიგიური უმცირესობების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება დადებითისკენ იცვლება. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის აღქმით, ლგბტ თემის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ისეთი აღარ არის, როგორიც ადრე იყო. მისი თქმით, პროტესტის გამოხატვით ლგბტ თემმა ხალხის განწყობა დადებითისკენ შეცვალა. საინტერესოა, რომ ეს შეხედულება სიღრმისეული ინტერვიუს ჰომოსექსუალი რესპონდენტის მოსაზრებას ემთხვევა.

ტოლერანტობისა და ეთნიკურ ჯგუფთა შორის ინტერაქციის საერთო ტენდენციის გამოსავლენად, ზემოთ ნახსენები კითხვებისგან მარტივი კრებითი ინდექსი შემუშავდა, 0-დან 25-მდე ვარიაციით, სადაც 0 ნიშნავს, რომ რესპონდენტი საქმიან ურთიერთობას არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფთან არ მოუწონებდა სხვებს, ხოლო 25 ნიშნავს, რომ ყველა ჯგუფთან მოუწონებდა. 2021 წლის გამოკითხვაში ამ ინდექსის საშუალო მაჩვენებელი 18 იყო, ხოლო 2018 წელს - 16. ეს სხვაობა მნიშვნელოვანია და, საშუალოდ, ორქულიან ცვლილებაზე მიუთითებს.

რეგრესიული ანალიზი, რომელიც ამოწმებს, რამდენად შეიცვალა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ დამოკიდებულება 2018 და 2021 წლების გამოკითხვებში, აჩვენებს, რომ ხალხი მნიშვნელოვნად უფრო დადებითადაა განწყობილი სხვადასხვა ჯგუფთან საქმიანი ურთიერთობის მიმართ თბილისსა და სოფლებში, თუმცა სხვა ქალაქების მაცხოვრებელთა განწყობები არ შეცვლილა. 2021 წლის გამოკითხვაში თბილისის მოსახლეობა 25 ჯგუფიდან 3.7-ით უფრო მეტთან მოუწონებდა საქმიან ურთიერთობას თავისნაირ ადამიანებს, ვიდრე 2018 წელს (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში). სოფლებში მოსახლეობამ 2021 წელს საშუალოდ 2.7-ით მეტი ჯგუფის შემთხვევაში დააფიქსირა დადებითი პასუხი (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში). მონაცემები ასევე ადასტურებს, რომ უფრო ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ადამიანები 2021 წელს მნიშვნელოვნად უფრო მეტად მოუწონებდნენ ხალხს საქმიან ურთიერთობას სხვადასხვა ჯგუფთან, ხოლო მდიდარი ოჯახების წარმომადგენლებში დამოკიდებულებები ბოლო სამ წელიწადში ამ მხრივ არ შეცვლილა. თუკი 2018 წელს ყველაზე ღარიბ ოჯახებში რესპონდენტები თავისნაირ ადამიანებს საქმიან ურთიერთობას საშუალოდ 16.3 ჯგუფთან მოუწონებდნენ (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში), გამოკითხვის 2021 წლის ტალღაში ეს მაჩვენებელი, საშუალოდ, 21 ჯგუფამდე გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, ყველაზე მდიდარ ოჯახებში რესპონდენტების მიერ სხვადასხვა ჯგუფთან საქმიანი ურთიერთობის მოწონება 2021 წელს, საშუალოდ, მხოლოდ 0.75-ით გაიზარდა, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის. გამოკითხვების მონაცემები 2018 და 2021 წლებში ჯგუფებს შორის სხვა სტატისტიკურად მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ადასტურებს.

გამოკითხვის ტალღებს შორის დამოკიდებულებათა ცვლილების გარდა, 2021 წლის მონაცემები გაანალიზდა იმის შესასწავლად, თუ რამდენად განსხვავდებოდა სხვადასხვა ჯგუფის ტოლერანტობის ინდექსი. მონაცემები აჩვენებს, რომ ახალგაზრდები (18-34 წლის), საშუალოდ, 1.6-ით მეტ ჯგუფთან

საქმიან ურთიერთობას მოუწონებდნენ თავისნაირ ადამიანებს (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში), ვიდრე უფროსი ასაკის (55+ წლის) ადამიანები. შუა ასაკობრივი ჯგუფი უმცროსი და უფროსი ასაკობრივი კატეგორიებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. კაცები, საშუალოდ, 1.5-ით მეტ ჯგუფთან საქმიან ურთიერთობას მოუწონებდნენ თავისნაირ ადამიანებს (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში), უმცირესობების წარმომადგენლები კი - საშუალოდ, 1.4-ით ნაკლებ ჯგუფთან (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში). მონაცემები აჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, საშუალოდ, 1.4-ით მეტ ჯგუფთან მოიწონებდნენ საქმიან ურთიერთობას, ვიდრე საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე პირები. პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტების მოსაზრებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სხვა განათლების მქონე ადამიანების შეხედულებებისგან, შესაბამისად, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთა შორის თავსდება. პირები, რომელთა ორივე მშობელსაც უმაღლესი განათლება აქვს, რაც, თავის მხრივ, უფრო მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს, საშუალოდ, 1.4-ით უფრო მეტ ჯგუფთან მოიწონებდნენ საქმიან ურთიერთობას (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში). იძულებით გადაადგილებული პირები, საშუალოდ, 1.3-ით უფრო მეტ ჯგუფთან მოიწონებდნენ საქმიან ურთიერთობას (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში).

სხვადასხვა ჯგუფის მიმართ დამოკიდებულების შესაფასებლად, ზემოთ აღწერილი შეკითხვების გარდა, რესპონდენტებს ჰკითხეს, ვის არ ისურვებდნენ მეზობლად. მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობის წილი, რომელიც ყველაზე მეტად ლგბტ ადამიანს არ ისურვებდა მეზობლად, 7 პროცენტით შემცირდა. ასევე, 6 პროცენტით შემცირდა იმ ადამიანების წილი, რომლებიც ინფექციური დაავადებების მქონეთა მეზობლად ცხოვრებას არ ისურვებდნენ. სხვა მხრივ, 2018-დან 2021 წლამდე მოსახლეობის პასუხები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

გრაფიკი 8: ჯგუფები, რომლებსაც რესპონდენტები მეზობლად არ ისურვებდნენ



უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებები

უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად, კითხვები დაისვა შემდეგი უფლებების შესახებ:

- ბეჭდური და სამაუწყებლო მედიის ხელმისაწვდომობა უმცირესობების ენებზე და მედიაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობა;
- რელიგიის მანიფესტაციის უფლება;
- თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებასა და კულტურათაშორის კონტენტზე;
- ინსტიტუციური ჩარჩო ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობა არჩევით თანამდებობებსა და საჯარო ადმინისტრაციაში;
- სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა;
- უმცირესობების ენების თავისუფლად და დაუბრკოლებლად გამოყენების უფლება;
- მისთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის სწრაფად მიღების უფლება მისი დაკავების მიზეზების შესახებ, მის წინააღმდეგ წამოყენებული ნებისმიერი ბრალდების ტიპისა და საფუძვლის შესახებ და საკუთარ ენაზე თავის დაცვის უფლება, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის უფასო მომსახურების მიღება;
- არჩევნებში ხმის მიცემის უფლება;
- არჩევნებში კანდიდატურის წამოყენების უფლება;
- შეკრების თავისუფლება.

მონაცემები, გარკვეულწილად, პოზიტიურ ტენდენციას აჩვენებს უმცირესობების უფლებების ცოდნისა და დამოკიდებულების მხრივ. 2018 წელს მოსახლეობის 55 პროცენტი ამბობდა, რომ უმცირესობებს კანონით მინიჭებული აქვთ ეროვნული საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება. 2021 წელს 71 პროცენტი ამბობს იმავეს, რაც 16-პროცენტიან ზრდაზე მიუთითებს. 2018 წელს მოსახლეობის 71 პროცენტი ამბობდა, რომ უმცირესობებს საჯარო სამსახურში დასაქმების უფლება აქვთ, ხოლო 2021 წელს ეს მაჩვენებელი 15 პროცენტით, 86-მდე გაიზარდა. 15-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა უმცირესობების მიერ საჯარო სივრცეში პროტესტის გამოხატვის უფლებასთან დაკავშირებითაც, რასაც 2018 წელს მოსახლეობის 47 პროცენტი აღიარებდა, 2021 წელს კი - 63 პროცენტი. ამდენითვე გაიზარდა მოსახლეობის წილი, რომელიც ამბობს, რომ უმცირესობებს კანონით მინიჭებული აქვთ არჩევნებში კანდიდატურის წამოყენების უფლება (53-დან 68 პროცენტამდე), ხოლო 13 პროცენტით გაიზარდა მოსახლეობის ცოდნა უმცირესობების მიერ არჩევნებში ხმის მიცემის უფლების შესახებ. შედარებით

მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები, 6 და 7-პროცენტიანი სხვაობით, გამოვლინდა საჯარო სივრცეში ქართულის გარდა სხვა ენაზე საუბრის, ბიზნესის წამოწყების, კერძო კომპანიაში მუშაობისა და ეროვნულ მედიასაშუალებებში გამოჩენის უფლების შესახებ. დანარჩენ უფლებებთან დაკავშირებით 2018 და 2021 წლების გამოკითხვებში მოსახლეობის მოსაზრებები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

გრაფიკი 9: უმცირესობების უფლებების აღიარება



საერთო ჯამში, მოსახლეობის 37 პროცენტი აღიარებს უმცირესობათა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უფლებას, რაც, 2018 წლის მონაცემებთან შედარებით (25 პროცენტი), 12-პროცენტიან ზრდას უდრის. მოსახლეობის წილი, რომელიც არცერთ ამ უფლებას არ აღიარებს, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (2018 წელს - 3 პროცენტი, 2021 წელს - 1 პროცენტი). 2018 წელს უმცირესობათა აღიარებული უფლებების საშუალო რაოდენობა 10.2 იყო, 2021 წელს კი - 11.4, რაც, საშუალოდ, 1.2 უფლებით გაიზარდა. ეს სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და იმაზე მიუთითებს, რომ უმცირესობების უფლებებს უფრო მეტი ადამიანი აღიარებს.

გამოკითხვაში ნახსენები 11 უფლების აღიარებასთან დაკავშირებით ჩატარებული რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ 2018 და 2021 წლების კვლევებში

სხვადასხვა ჯგუფის პასუხებს შორის არსებითი სხვაობა არ გამოვლენილა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უმცირესობების უფლებების აღიარების ზრდა მთლიან მოსახლეობას ეხება. იმავდროულად, 2021 წლის მონაცემებით, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაფიქსირდა. მაგალითად, სხვა გარემოებების თანასწორობის პირობებში კაცები 0.5-ით მეტ უფლებას აღიარებენ, ვიდრე ქალები. თბილისის მოსახლეობა 1-ით ნაკლებ უფლებას აღიარებს, ვიდრე სოფლების მაცხოვრებლები. სხვა ქალაქებში მცხოვრებთა შემთხვევაში მაჩვენებლები დედაქალაქისა და სოფლების მოსახლეობის მაჩვენებლებს შორისაა და არცერთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. უმცირესობის ჯგუფები, საშუალოდ, 0.9-ით მეტ უფლებას ასახელებენ, ვიდრე არაუმცირესობის წარმომადგენლები. რესპონდენტები შედარებით შეძლებული ოჯახებიდან 1.5-ით მეტ უფლებას აღიარებენ, ვიდრე უფრო ღარიბი ოჯახების წარმომადგენლები. უმაღლესი განათლების მქონე პირები 0.75-ით მეტ უფლებას ასახელებენ, ვიდრე საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე ადამიანები (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში). პროფესიული განათლების მქონე პირთა მაჩვენებლები ამათ შორის ექცევა და განათლების სხვა საფეხურებზე მდგომი რესპონდენტების მონაცემებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. ის პირები, რომელთა ერთ მშობელს მაინც უმაღლესი განათლება აქვს, 0.9-ით მეტი უფლებას აღიარებენ.

კვლევა ასევე შეისწავლიდა მოსახლეობის აღქმას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ჯგუფის უფლებების დაცვა. 2018 წლის გამოკითხვის მსგავსად, 2021 წელსაც მოსახლეობა პრიორიტეტულად მიიჩნევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას, ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას კი ლგბტ თემის წარმომადგენელთა უფლებების დაცვას ანიჭებს. იმავდროულად, მონაცემები დამოკიდებულებაში გარკვეულ ცვლილებაზე მიუთითებს. მოსახლეობა უფრო მეტი ალბათობით მიიჩნევს, რომ ლგბტ ადამიანების (14 პროცენტით მეტი), სხვადასხვა „რასის“[6] წარმომადგენლების (11 პროცენტით მეტი), ეთნიკური უმცირესობების (7 პროცენტით მეტი), რელიგიური უმცირესობების (7 პროცენტით მეტი), იმიგრანტების (7 პროცენტით მეტი) და ეთნიკურად ქართველების (6 პროცენტით მეტი) უფლებების დაცვა ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

6 რაკი ყველა ადამიანი ერთ სახეობას მიეკუთვნება, ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტი და ევროპული კომისია რასიზმისა და არატოლერანტულობის წინააღმდეგ (ECRI) სხვადასხვა „რასის“ არსებობის შესახებ თეორიებს უარყოფენ. თუმცა, ამ დოკუმენტში ტერმინი „რასა“ გამოყენებულია იმის გამო, რომ ადამიანები, რომლებიც, ზოგადად და არასწორად, სხვა რასის წარმომადგენლებად მიიჩნევიან, არ გამოირიცხონ კანონმდებლობით უზრუნველყოფილი დაცვისა და ანტირასისტული პოლიტიკის განხორციელების დროს.

გრაფიკი 10: უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფის უფლებების დაცვის მნიშვნელობა



რეგრესიული ანალიზი ჩატარდა იმის შესამოწმებლად, განსაზღვრავს თუ არა დემოგრაფიული მახასიათებლები, რამდენად მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ მიიჩნევს მოსახლეობა კვლევაში ნახსენები ჯგუფების უფლებების დაცვას. ამისთვის შემუშავდა ინდექსი, რომლის მაქსიმალური ქულა იყო 36, ხოლო მინიმალური - 0. ნული ქულა ნიშნავდა, რომ რესპონდენტისთვის არცერთი ჯგუფის უფლებების დაცვა არ იყო მნიშვნელოვანი, ხოლო 36 ქულა მიუთითებდა, რომ რესპონდენტი ყველა ნახსენები ჯგუფის უფლებების დაცვას მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. 2018-დან 2021 წლამდე ინდექსის საშუალო ქულა 1.6-ით გაიზარდა. მონაცემები აჩვენებს, რომ პირებმა, რომელთა ერთ მშობელს მაინც ჰქონდა უნივერსიტეტი დამთავრებული, 2021 წელს ამ ინდექსზე სამით

მეტი ქულა დააგროვეს, ვიდრე 2018 წელს. სხვა მხრივ, 2018 და 2021 წლების გამოკითხვებში ჯგუფებს შორის არსებითი ცვლილებები არ დაფიქსირებულა. 2021 წლის მონაცემებით კი, ახალგაზრდების (18-34 წლის) შემთხვევაში ინდექსის მაჩვენებელი 1.3 ქულით უფრო მაღალია, ვიდრე უფროსი ასაკის (55+) მოსახლეობის შემთხვევაში. სოფლის მაცხოვრებლებს ამ ინდექსზე შედარებით ნაკლები ქულა ჰქონდათ, ვიდრე თბილისის მოსახლეობას (1.2-ით ნაკლები). სხვა ქალაქებში მცხოვრებთა მაჩვენებელი თბილისელებთან მიახლოებული იყო, თუმცა დედაქალაქისა და სოფლების მოსახლეობის ქულებისგან არსებითად არ განსხვავდებოდა. უმცირესობის წარმომადგენლების ქულა ამ ინდექსზე 1.6-თ მეტი იყო, არაუმცირესობის ჯგუფებთან შედარებით. საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე პირებს, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისგან განსხვავებით, 0.9 ქულით ნაკლები ჰქონდათ. პროფესიული განათლების მქონე პირთა მაჩვენებელი კი ამ ჯგუფებს შორის იყო, თუმცა მონაცემები მათგან სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა.

დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოვლინებები ქართულ საზოგადოებაში

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის მხრივ არაერთი სირთულის წინაშე დგას, იქნება ეს რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაცია თუ ენობრივი ბარიერი, რომელსაც ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან. გამოკითხვის მონაცემებით, მოსახლეობა უფრო მეტად აცნობიერებს იმ პრობლემებს, რომლებიც უმცირესობათა ბევრ ჯგუფს აქვს, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს სხვაობა უმცირესობისა და არაუმცირესობის წარმომადგენელთა მხრიდან ამ პრობლე-მების აღქმის საკითხში.

2018 და 2021 წლების გამოკითხვების თანახმად, ეთნიკური უმცირესობისთვის საქართველოში ძირითადი პრობლემა ქართული ენის არასაკმარისი ცოდნაა. მოსახლეობის წილი, რომელიც მიიჩნევს, რომ უმცირესობებს პრობლემები არ აქვთ, 2018-დან 2021 წლამდე 16 პროცენტით შემცირდა. ეს ცვლილება, უმეტესად, იმის ხარჯზე მოხდა, რომ გაიზარდა ხალხის მიერ ენობრივი ბარიერის პრობლემად აღიარება. სხვა მხრივ, 2018 და 2021 წლების გამოკითხვებში ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლენილა.

გრაფიკი 11: ეთნიკური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები



თუკი მონაცემებს ეთნიკური კუთვნილების მიხედვით ჩავშლით და ეთნიკურად ქართველებისა და ეთნიკური უმცირესობების მოსაზრებებს ერთმანეთს შევადარებთ, გარკვეულ ტენდენციებს დავინახავთ. პირველი, ეთნიკურად ქართველები კვლავინდებურად ნაკლები ალბათობით იაზრებენ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებულ პრობლემებს. თუმცა, იმავდროულად, ეთნიკურად ქართველები 18 პროცენტით უფრო მეტი ალბათობით ასახელებენ რაიმე საკითხს მაინც, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოში პრობლემაა. რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, მათი წარმომადგენლები უფრო ხშირად ამბობენ, რომ კარიერული წინსვლის კუთხით ბარიერებს აწყდებიან. ეთნიკური უმცირესობების შერჩევის ზომას თუ გავითვალისწინებთ, გამოკითხვებისას გამოვლენილი სხვა ცვლილებები შედარებით მცირეა.

კვლევის თვისებრივ კომპონენტში რესპონდენტებმა ენის პრობლემას გაუსვეს ხაზი. ეთნიკურად აზერბაიჯანელებმა და სომხებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში მეტი ახალგაზრდა სწავლობს ქართულს. თავის მხრივ, რესპონდენტების აზრით, ეს აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას იწვევს. იმავდროულად, მათი აღქმით, ქართველები ხშირად აგრესიას ამჟღავნებენ იმ აზერბაიჯანელების მიმართ, რომლებიც ქართულად არ საუბრობენ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: „თუკი ქართულად ლაპარაკობ, [ქართველებს] მოეწონები და დაგელაპარაკებიან. მაგრამ თუ მათ ენაზე ლაპარაკი არ შეგიძლია, თათარს დაგიძახებენ“ (ქალი, 56 წლის, ეთნიკურად აზერბაიჯანელი).

გრაფიკი 12: ეთნიკური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები ეთნიკური კუთვნილების მიხედვით



მსგავსი სურათი იკვეთება რელიგიური უმცირესობების შემთხვევაში. 2021 წელს, ისევე, როგორც 2018-ში, მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი ამბობდა, რომ რელიგიურ უმცირესობებს საქართველოში პრობლემები არ აქვთ. იმავდროულად, ამ მოსაზრების მქონე ადამიანების წილი 11 პროცენტით შემცირდა. გარდა ამისა, 2018 წელთან შედარებით, 2021 წლის გამოკითხვაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაული რელიგიური უმცირესობების წინაშე არსებულ პრობლემად უფრო ხშირად დასახელდა. ამ მხრივ, მაჩვენებლები 6-დან 11 პროცენტამდე, ხუთი პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

გრაფიკი 13: რელიგიური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები



2018 წლის მსგავსად, რელიგიური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით რელიგიური უმცირესობებისა და უმრავლესობის მოსაზრებებს შორის სხვაობა 2021 წელსაც შენარჩუნდა. მონაცემების მიხედვით, 2021 წლის გამოკითხვაში მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა ნაკლებად ხშირად (47 პროცენტი) აღნიშნეს, რომ რელიგიურ უმცირესობებს პრობლემები არ აქვთ, ან არ იციან მათი პრობლემების შესახებ, ვიდრე 2018 წლის გამოკითხვაში (60 პროცენტი). ამ ცვლილების გარდა, 2018 და 2021 წლის გამოკითხვებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა.

გრაფიკი 14: რელიგიური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები რელიგიური მიმდევრობის მიხედვით



რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მნიშვნელოვან პრობლემებს საქართველოში, მონაცემების მიხედვით, საზოგადოება ასეთად უფრო ეკონომიკურ საკითხებს აღიქვამს. 2021 და 2018 წლების გამოკითხვებში მნიშვნელოვან პრობლემებად, ძირითადად, დასახელდა, რომ დამსაქმებლებს ურჩევნიათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ დაასაქმონ, შესაბამისად, ისინი კარიერული წინსვლისას ბარიერებს აწყდებიან. მოსახლეობის წილი, რომელმაც ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, 2021 წელს შვიდი პროცენტით გაიზარდა (2018 წელს 39 პროცენტი იყო, ხოლო 2021 წელს - 46). იმავდროულად, შემცირდა (17-დან 9 პროცენტამდე) იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს პრობლემები არ აქვთ.

გრაფიკი 15: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მნიშვნელოვანი პრობლემები



საქართველოში ქალებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით გამოკითხვის თანახმად, 17 პროცენტით შემცირდა მოსახლეობის წილი, რომელიც მიიჩნევს, რომ ქალებს პრობლემები არ აქვთ (2018 წელს 34 პროცენტიდან 2021 წელს 17 პროცენტამდე). კვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წელს მოსახლეობის 39 პროცენტი ქალებისთვის მნიშვნელოვან პრობლემად ოჯახში ძალადობას ასახელებს, განსხვავებით 2018 წლის გამოკითხვისას გამოვლენილი

34 პროცენტისა. ხოლო მათი წილი, ვინც სექსუალურ შევიწროებას ქალებისთვის მნიშვნელოვან პრობლემად აღიქვამს, რვა პროცენტით, 18-დან 26 პროცენტამდე გაიზარდა.

გრაფიკი 16: ქალებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები



მონაცემების სქესის მიხედვით ჩაშლის შედეგად აღმოჩნდა, რომ დამოკიდებულების ცვლილება ქალებსა და კაცებში ერთნაირად გამოვლინდა. მაგალითად, 2021 წელს, 2018-თან შედარებით, 13 პროცენტით ნაკლებმა კაცმა და 15 პროცენტით ნაკლებმა ქალმა თქვა, რომ საქართველოში ქალებს პრობლემები არ აქვთ.

გრაფიკი 17: ქალებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები სქესის მიხედვით



კვლევა ასევე მოიცავდა შეხედულებებს ლგბტ ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ. გამოკითხვების შედეგების მიხედვით, დამოკიდებულებებში შედარებით მცირე ცვლილება შეინიშნება. გამონაკლისია იმ რესპონდენტთა წილის კლება (8 პროცენტით), რომლებიც მიიჩნევენ, რომ ლგბტ ადამიანებს საქართველოში პრობლემები არ აქვთ.

გრაფიკი 18: ლგბტ ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები



ზემოთ მოცემული მაჩვენებლები უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის, უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების აღიარების თვალსაზრისით, სხვაობას ადასტურებს. თუმცა, გამოკითხვის შედეგები ცალსახად მიუთითებს მოსახლეობაში გაზრდილ ცნობიერებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ უმცირესობის ჯგუფები ამის გამო საქართველოში პრობლემებს აწყდებიან.

სიძულვილის ენის აღქმა

სიძულვილის ენის საკითხს ქართულ საზოგადოებაში უფრო და უფრო ხშირად განიხილავენ, განსაკუთრებით, პოლიტიკური პოლარიზაციის ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ ამ დისკურსის დიდი ნაწილი სიძულვილის ენას არ განეკუთვნება, საქართველოში მის გარშემო დებატები არ წყდება. ამ მხრივ, ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ გაიზარდა მოსახლეობის წილი, რომელიც სიძულვილის ენას ქვეყანაში პრობლემად ასახელებს. თუკი 2018 წელს გამოკითხულთა 45 პროცენტი ამბობდა, რომ სიძულვილის ენა მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, 2021 წელს უკვე 11 პროცენტით მეტი, მოსახლეობის 56 პროცენტი აცხადებდა იმავეს.

სიძულვილის ენის პრობლემად აღქმა შესამჩნევად უფრო ხშირია ქალებში, ვიდრე კაცებში. ქალების შემთხვევაში 16 პროცენტით გაიზარდა სიძულვილის ენის პრობლემად აღქმის მაჩვენებელი, ხოლო კაცების შემთხვევაში - მხოლოდ შვიდი პროცენტით. მოსახლეობის ჯგუფებს შორის 2018-დან 2021 წლამდე სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოვლენილა. რაც შეეხება 2021 წელს, ახალგაზრდები 11 პროცენტით უფრო მეტი ალბათობით მიიჩნევენ, რომ სიძულვილის ენა პრობლემაა, ვიდრე 55 წელს გადაცილებული მოსახლეობა და შვიდი პროცენტით უფრო მეტად, ვიდრე 35-54 ასაკობრივი კატეგორიის ადამიანები. ქალები, კაცებთან შედარებით, ცხრა პროცენტით უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ სიძულვილის ენა საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა. თბილისის მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც სიძულვილის ენას მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებს, 11 პროცენტით აღემატება სხვა ქალაქების მაცხოვრებელთა მონაცემებს, ხოლო 13 პროცენტით - სოფლად მცხოვრებ ადამიანებს. ის რესპონდენტები კი, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, დაახლოებით 10 პროცენტით უფრო მეტი ალბათობით მიიჩნევენ სიძულვილის ენას მნიშვნელოვან პრობლემად (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში).

კვლევა ასევე სწავლობდა მოსახლეობის აზრს იმის თაობაზე, თუ რომელი ჯგუფის მიმართ იყენებენ საქართველოში სიძულვილის ენას ყველაზე ხშირად. გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ 2021 და 2018 წლებში პასუხები შედარებით სტაბილურია და, საზოგადოების შეფასებით, სიძულვილის ენა ყველაზე ხშირად ლგბტ პირების მიმართ გამოიყენება. 2021 წლის გამოკითხვაში უფრო მეტმა რესპონდენტმა თქვა, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ იცის. თუმცა, სანაცვლოდ, შემცირდა იმ ადამიანთა წილი, რომლებიც უმცირესობათა ვერცერთ ჯგუფს ვერ იხსენებდნენ.

გრაფიკი 19: ჯგუფები, რომელთა მიმართაც საქართველოში ყველაზე ხშირად იყენებენ სიძულვილის ენას



კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს ცალკეული ჯგუფების შესახებ, თუ რამდენად ხშირად იყენებენ მათ მიმართ სიძულვილის ენას საქართველოში. მონაცემები მიუთითებს, რომ, მოსახლეობის აღქმით, სიძულვილის ენის სამიზნეები ყველაზე ხშირად ლგბტ ადამიანები ხდებიან. ხალხის დამოკიდებულების თვალსაზრისით ამ საკითხზე გარკვეული ცვლილება 2018-დან 2021 წლამდე პერიოდში დაფიქსირდა მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც სხვადასხვა ჯგუფის შემთხვევაში ამბობს, რომ მათ მიმართ სიძულვილის ენას არასდროს იყენებენ. ათი პროცენტით შემცირდა მათი წილი, ვინც ამბობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ქისტების, ებრაელების, აზერბაიჯანელების, ქურთების/იეზიდების, ქალების, სომხების, ბოშებისა და რუსების მიმართ საქართველოში სიძულვილის ენას არასდროს იყენებენ. „არასდროს“ პასუხის სანაცვლოდ, რესპონდენტებმა აირჩიეს სხვა კატეგორიები, რომლებშიც ცალსახა ტენდენცია არ შეინიშნება. მიუხედავად ამისა, მონაცემები ადასტურებს, რომ ახლა მეტი ადამიანი ხედავს სხვადასხვა ჯგუფის მიმართ სიძულვილის ენის გამოვლინებას, ვიდრე წარსულში.

გრაფიკი 20: სხვადასხვა ჯგუფის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების სიხშირე



ზემოთ აღნიშნული მიგნებების საპირისპიროდ, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ამბობს, რომ ბევრი ჯგუფის მიმართ სიძულვილის ენა საქართველოში არასდროს გამოიყენება (მიუხედავად 2018 წელთან შედარებით შემცირებული მაჩვენებლებისა), უმცირესობის წარმომადგენელმა რესპონდენტებმა სიღრმისეულ ინტერვიუებში ისაუბრეს სიძულვილის ენის სამიზნედ ყოფნის საკუთარ გამოცდილებაზე. ამ მხრივ ყველაზე დიდი კონტრასტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შემთხვევაში გამოვლინდა. როგორც კვლევის თვისებრივ ნაწილში გამოკითხულმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა აღნიშნა, სიძულვილის ენას ის ყოველდღიურად აწყდება. თუმცა, ამის საპირისპიროდ, გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ საზოგადოება, უმეტესწილად, ამ პრობლემას ვერ ხედავს. ეს განსხვავება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შემთხვევაში არ დაფიქსირებულა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, ლგბტ პირებისა და სხვადასხვა რელიგიის მიმდევრების თქმით, მათაც უწევთ სიძულვილის ენასთან შეჯახება. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა ხაზი გაუსვა, რომ, ლესბოსელებთან, გეებთან და ბისექსუალებთან შედარებით, სიძულვილის ენა განსაკუთრებით ხშირად ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ გამოიყენება, თუმცა ეს ჯგუფებიც საკმაოდ ხშირად არიან ამგვარი დამოკიდებულების სამიზნეები.

კვლევის თვისებრივ კომპონენტში კიდევ ერთი საკითხი გამოიკვეთა: სიძულვილის ენის პოლიტიკურ ჭრილში გამოყენება. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა ხაზი გაუსვა, რომ პოლიტიკოსები და სახელმწიფო თანამდებობის პირები ქალებისა და უმცირესობათა სხვა ჯგუფების მიმართ სიძულვილის ენას იყენებდნენ. ამ საკითხზე ფოკუსჯგუფის ზოგიერთმა მონაწილემაც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სიძულვილის ენას პოლიტიკოსები იყენებენ, შემდეგ კი ამას მედია აშუქებს.

საერთო ჯამში, როგორც ზემოთ განხილული მონაცემები ადასტურებს, სიძულვილის ენის პრობლემას მოსახლეობა უფრო მეტად აღიარებს. გაზრდილია ცნობიერება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში სხვადასხვა ჯგუფი სიძულვილის ენის სამიზნე ხდება. იმავდროულად, თვისებრივი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ფართო საზოგადოებამ არც ისე კარგად იცის, თუ რა დოზით უწევს უმცირესობათა ზოგიერთ ჯგუფს სიძულვილის ენასთან შეჯახება.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღქმა

კვლევა მოიცავდა მოსახლეობის წარმოდგენების შესწავლას საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და იმის შესახებ, თუ რომელი ჯგუფები ხდებიან ასეთი დანაშაულის მსხვერპლები ყველაზე ხშირად. კვლევის შედეგების თანახმად, სიძულვილის ენის მსგავსად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაშიც გაზრდილია მოსახლეობის წილი, რომელიც მას საქართველოში დიდ პრობლემად მიიჩნევს. 2018 წელს ამგვარი მოსაზრება მოსახლეობის 35-მა პროცენტმა გამოთქვა, ხოლო 2021 წელს - 48-მ, რაც 13-პროცენტიან ზრდაზე მიუთითებს. მონაცემები 2018-დან 2021 წლამდე მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ადასტურებს. 2021 წლის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ახალგაზრდები

9 პროცენტით უფრო მეტი ალბათობით მიიჩნევენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს დიდ პრობლემად, ვიდრე 35-54 წლის ადამიანები, ხოლო 15 პროცენტით უფრო მეტად, ვიდრე 55+ ასაკობრივ კატეგორიას მიკუთვნებული პირები. ქალები 14 პროცენტით უფრო ხშირად ამბობენ, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული დიდი პრობლემაა, ვიდრე კაცები (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში), ხოლო თბილისელები - 14 პროცენტით უფრო ხშირად, ვიდრე სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს, მათი აზრით, ყველაზე ხშირად რომელი ჯგუფის წარმომადგენლები ხდებოდნენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები საქართველოში. გამოკითხვის შედეგების თანახმად, 2018 წლის მსგავსად, ყველაზე ხშირად კვლავ ლგბტ ადამიანები დასახელდნენ. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის შემდეგ შემცირებულია მოსახლეობის წილი, რომელსაც ამ კითხვაზე უმცირესობათა არცერთი ჯგუფი არ ახსენდება (2018 წელს 14 პროცენტიდან 2021 წელს 11 პროცენტამდე, 13-პროცენტიანი სხვაობა). თუმცა, შესაბამისად, გაიზარდა რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელმაც ამ კითხვაზე პასუხი არ იცის. სხვა მხრივ, 2018 და 2021 წლების გამოკითხვებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოვლენილა.

გრაფიკი 21: ჯგუფები, რომლებიც ყველაზე ხშირად ხდებიან საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები



ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები თანხვედრაშია გამოკითხვის იმ შედეგებთან, რომლებიც ცალკეულ ჯგუფს ეხება. რესპონდენტთა თქმით, საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები ყველაზე ხშირად ლგბტ

ადამიანები ხდებიან. ეს 2018 წლის გამოკითხვის შედეგებსაც ეხმიანება. ზოგადად, ამ მხრივ მონაცემები არსებითად არ შეცვლილა. გამონაკლისის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი „არასდროს“ კატეგორიიდან პასუხის სხვა კატეგორიებში გადანაწილდა.

გრაფიკი 22: რამდენად ხშირად ხდებიან შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები საქართველოში



კვლევის თვისებრივი კომპონენტის მონაცემები გამოკითხვების შედეგებს ასახავს. რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები, ძირითადად, ლგბტ ადამიანები არიან. ამ მხრივ მხოლოდ ერთი გამონაკლისი დაფიქსირდა. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის თქმით, ამგვარი დანაშაულის მსხვერპლები ყველაზე ხშირად რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები იყვნენ. ამ მოსაზრებას სხვა ჯგუფებშიც იზიარებდნენ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა, როგორ მონაწილეობდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ. მისი თქმით, „300-400 კაცი მიდიოდა მასთან სალოცავად თუ სალაპარაკოდ და ეს ჩვენ ძალიან გვაღიზიანებდა. ამიტომაც გადავკეტეთ შესასვლელი, რომ ხელი შეგვეშალა მათთვის და მართლაც ნელ-ნელა შეწყვიტეს“ (ქალი, 63 წლის, თბილისიდან).

სიძულვილის ენის მსგავსად, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს საზოგადოების უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს პრობლემად საქართველოში. შესაბამისად, ნაკლებია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფთან დაკავშირებით ამბობენ, რომ ისინი ამგვარი დანაშაულის მსხვერპლები არასდროს ხდებიან.

ინფორმაცია უმცირესობების მიმართ მტრული განწყობით განპირობებული გახმაურებული შემთხვევების შესახებ

ბოლო წლებში საქართველოში რამდენიმე გახმაურებული შემთხვევა მოხდა, რაც უმცირესობების მიმართ მტრული დამოკიდებულებით იყო გამოწვეული. ამ შემთხვევებიდან რამდენიმე მოიცავს ანტი-ლგბტ გამოსვლებს „თბილისი პრაიდის“ მიერ ღირსების მარშის მოწყობის მცდელობის საპასუხოდ, ასევე, ერთ-ერთი საქმე შეეხება ვიტალი საფაროვის - იუდეველი იეზიდი ადამიანის უფლებათა მუშაკის მკვლელობას ნეონაცისტი ახალგაზრდების მიერ. 2021 წლის კვლევის დროს კითხვები დაისვა სიძულვილით მოტივირებულ სხვა შემთხვევებზეც, რომლებიც 2018 წლის კვლევაში არ ფიგურირებდა. ამის გამო, მოცემულ ქვეთავში მხოლოდ 2021 წლის გამოკითხვის შედეგებია განხილული.

2021 წლის გამოკითხვაში რესპონდენტებს ჰკითხეს:

- ვიტალი საფაროვის მკვლელობის შესახებ;
- გურიის სოფელ ბუკნარში მცხოვრებ მუსლიმებზე თავდასხმისა და იმის შესახებ, უნდა ჰქონოდათ თუ არა მათ ერთ-ერთ კერძო სახლში მეჩეთის მოწყობის უფლება;
- თბილისის ერთ-ერთ უბანში სპორტულ მოედანზე აფრიკელების დარბევის შესახებ, რომლებიც ფეხბურთს თამაშობდნენ;
- „თბილისი პრაიდის“ საპასუხოდ გამართული გამოსვლების შესახებ.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობას უმეტესად (69

პროცენტს) სმენია 2021 წელს „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული გამოსვლების შესახებ. მომდევნო ინციდენტები, რომელთა შესახებაც ხალხის დიდ ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია, ბუკნარის შემთხვევა (44 პროცენტს) და ფეხბურთის მოთამაშე აფრიკელების დარბევა (43 პროცენტს) იყო. ვიტალი საფაროვის მკვლელობაზე მოსახლეობის მხოლოდ 12 პროცენტს სმენოდა. რესპონდენტებს, რომლებმაც თქვეს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ინციდენტების შესახებ იცოდნენ, ასევე ჰკითხეს, მათი აზრით, ეს შემთხვევები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს მიეკუთვნებოდა თუ არა. მონაცემების თანახმად, პირებს, რომლებსაც ინციდენტებზე სმენოდათ, დიდი ალბათობით, მათ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს მიაკუთვნებდნენ.

გრაფიკი 23: ინფორმაცია გახმაურებული ინციდენტების შესახებ



კვლევის თვისებრივი კომპონენტის შედეგები ბევრი კუთხით გამოკითხვის მონაცემების მსგავსია. რესპონდენტებს გაუჭირდათ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევების გახსენება, თუმცა, უფრო კარგად ახსოვდათ ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, ვიდრე სხვა ჯგუფების მიმართ ძალადობა. მაგალითად, ისრაელელმა არაბმა რესპონდენტმა გაიხსენა ტრანსგენდერი ადამიანის მკვლელობის შემთხვევა.

კვლევის მიხედვით, საერთო ჯამში, თბილისში მცხოვრებმა ადამიანებმა უფრო მეტად იციან ზემოთ აღწერილი ინციდენტების შესახებ (სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში). ეთნიკურ უმცირესობებს ნაკლებად სმენოდათ ამ შემთხვევებზე. შედარებით უფრო შეძლებულ ხალხს მეტი ინფორმაცია ჰქონდა.

ასევე, უმაღლესი განათლების მქონე პირებს შედარებით მეტად ჰქონდათ გაგონილი მომხდარი ინციდენტების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხვაში ნახსენები ინციდენტები შედარებით ახალი მომხდარი იყო და „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციებს ძალიან დიდი გამოხმაურება ჰქონდა, კვლევის შედეგების მიხედვით, შეგვიძლია, მივიჩნიოთ, რომ საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების დონე შედარებით დაბალია.

საქართველოს კანონმდებლობა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ

საქართველოში მოქმედებს კანონმდებლობა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც 2014 წელს მიიღეს.[7] ამჟამად მოსახლეობის 21 პროცენტს სმენია ამ კანონის შესახებ, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი 23 პროცენტს შეადგენდა. სიღრმისეულ ინტერვიუში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ კანონს იშვიათად იყენებენ. შესაძლებელია, პოტენციურად, ამითაც აიხსნებოდეს, რომ კანონის თაობაზე ცოდნის დონე არ შეცვლილა. იმ რესპონდენტთაგან, რომლებსაც 2021 წელს ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ სმენოდათ, 43 პროცენტი დადებითად აფასებდა მას, 11 პროცენტი - უარყოფითად, 38 პროცენტს კი ნეიტრალური შეხედულება ჰქონდა. ეს მონაცემები 2018 წლის გამოკითხვის შედეგებისგან დიდად არ განსხვავდება. მაშინ მოსახლეობის ერთი და იგივე წილი (38 პროცენტი) ამ კანონს დადებითად და ნეიტრალურად, 14 პროცენტი კი უარყოფითად აფასებდა.

რესპონდენტებს, რომლებსაც კანონის შესახებ გარკვეული ინფორმაცია ჰქონდათ, ასევე ჰკითხეს, მათი აზრით, რისთვის მიიღეს ეს კანონი. ხალხის შეხედულება კანონის მიღების მოტივებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 2018 და 2021 წლების გამოკითხვებში მოსახლეობის 75 პროცენტი ამბობდა, რომ საქართველოს მთავრობამ ეს კანონი, პირველ რიგში, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გასაფორმებლად მიიღო. 2018 წლის გამოკითხვის შედეგების მსგავსად, ახლაც მოსახლეობის მსგავსი წილი მიიჩნევს, რომ კანონი ქვეყანაში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად მიიღეს (2018 წელს - 67 პროცენტი, 2021 წელს - 64 პროცენტი).

2018 წლის მსგავსად, ის ადამიანები, რომლებსაც ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ სმენია, საშუალოდ ინფორმირებულნი არიან მისი შინაარსის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით რესპონდენტებს ოთხი კითხვა დაუსვეს:

- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, კანონიერია თუ არა ერთნაირსქესიანთა ქორწინება? (ანტიდისკრიმინაციული კანონით, ასეთი ქორწინება კანონიერი არ არის);

7 საქართველოს პარლამენტი (2014). კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3.

- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, უკანონოა თუ არა დამსაქმებლების მიერ ადამიანებისთვის დასაქმებაზე უარის თქმა მათი კანის ფერის გამო? (ანტიდისკრიმინაციული კანონით, ეს ქმედება უკანონოა);
- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, უკანონოა თუ არა დამსაქმებლების მიერ ადამიანებისთვის დასაქმებაზე უარის თქმა მათი სექსუალური იდენტობის გამო? (ანტიდისკრიმინაციული კანონით, ეს ქმედება უკანონოა);
- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, უკანონოა თუ არა მედიით რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის შემცველი მასალის გავრცელება? (ანტიდისკრიმინაციული კანონით, ეს ქმედება უკანონოა).

2021 და 2018 წლის გამოკითხვების შედეგები, ფაქტობრივად, მსგავსია. ამ კითხვებზე მოსახლეობის პასუხებში არსებითი ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

გრაფიკი 24: ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ ცოდნა



სიძულვილის ენასთან დაკავშირებით რესპონდენტებს ჰკითხეს სხვადასხვა ქმედებაზე, რამდენად კანონიერი იყო ეს საქართველოში და, მათი აზრით, უნდა ყოფილიყო თუ არა კანონით დაშვებული. 2018 და 2021 წლის შედეგები თითქმის იდენტურია, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოვლენილა. როგორც 2018 წელს, ხალხმა საშუალოდ იცის სიძულვილის ენის შესახებ კანონმდებლობაზე და, ასევე, მისი მხარდაჭერისკენ იხრება. რეალურად, კანონმდებლობა სიძულვილის ენის შესახებ მედიას უკრძალავს ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ხალხს ეთნიკური ნიშნით ძალადობისკენ მოუწოდებს, ან ერთი რასის მეორეზე

უპირატესობას ამართლებს.[8] იმავდროულად, კანონმდებლობა მხოლოდ პოლიტიკოსებს უკრძალავს სიძულვილის ენის გამოყენებას კონკრეტულ შემთხვევებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოებას ამ საკითხზე არასაკმარისი ინფორმაცია აქვს.[9]

გრაფიკი 25: სიძულვილის ენის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა და მისი შეფასება



კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს, კანონიერია ან კანონით უნდა იკრძალებოდეს თუ არა ვინმესთვის შეურაცხყოფის მიყენება იმის გამო, რომ უმცირესობის რომელიმე ჯგუფის წარმომადგენელია. საერთო ჯამში, 2018-დან 2021 წლამდე მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხზე არ შეცვლილა.

8 იხილეთ *საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, 2016. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/en/document/download/32866/39/en/pdf.*

9 საქართველოს საარჩევნო კოდექსით, არაკანონიერია საარჩევნო სუბიექტების, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების, ასევე მათი მხარდამჭერების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება, რაც „რელიგიური ან ეთნიკური შუღლის“ გაღვივებისკენაა მიმართული.

გრაფიკი 26: დამოკიდებულება სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის მიმართ



კვლევა მოიცავდა კითხვებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ კანონმდებლობაზეც. საერთო ჯამში, მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულების მხრივ ისეთივე შედეგი გამოვლინდა, როგორიც სიძულვილის ენის შემთხვევაში. 2018 წელს მოსახლეობის 23-მა პროცენტმა თქვა, რომ საქართველოში დამატებითი სასჯელი არსებობს დანაშაულისთვის, რომლის მიზეზიც მსხვერპლის რომელიმე უმცირესობის ჯგუფის კუთვნილებაა. 2021 წელს მოსახლეობის 22-მა პროცენტმა იგივე მიუთითა. მსგავსად ამისა, 2018 წელს 30-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ამას კანონი უნდა კრძალავდეს, ხოლო 2021 წელს მოსახლეობის 34 პროცენტმა ანალოგიური აზრი გამოხატა. ეს ცვლილებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

გრაფიკი 27: დამოკიდებულება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კრიმინალიზაციის მიმართ



სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ზოგადად, დადებითია, თუმცა სიძულვილის ენას საკმარისად არ ფარავს. ამასთანავე, მასში სიძულვილის ენის განსაზღვრება შეტანილი არ არის. ამ ხარვეზზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმაც ისაუბრა და მიუთითა, რომ, ამის გამო, სიძულვილის ენასთან დაკავშირებით მოქმედებას ვერ იწყებენ.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კანონმდებლობის კიდევ ერთ ხარვეზს გაუსვა ხაზი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს შეეხება. პროკურორმაც აღნიშნა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თაობაზე კანონმდებლობა დასახვეწი იყო, რის გამოც, ამ მუხლით ნაკლები საქმე მიმდინარეობდა. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის თქმით: „შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკანონმდებლო ცვლილებები მოამზადა [სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე], თუმცა მხოლოდ რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა ამაზე. ცვლილებები ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მომზადდა, მაგრამ საქმე წინ არ წავიდა“.

სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმები და მათი ეფექტიანობა

საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის არაერთი მექანიზმი არსებობს, მაგრამ რამდენ ადამიანს სურს ამ მექანიზმების გამოყენება და რამდენად იციან მათ, პირველ რიგში, ვის უნდა მიმართონ ასეთ შემთხვევაში? 2018 და 2021 წლების გამოკითხვების შედეგები აჩვენებს, რომ ხალხს მხოლოდ ნაწილობრივ აქვს ინფორმაცია სამართლებრივი დაცვის არსებულ შესაძლებლობებზე. ვინც იცის, ვის უნდა მიმართოს, მაინც საშუალო დონეზე გამოხატავს ამის სურვილს.

რესპონდენტებს ჰკითხეს, შეძლებდნენ თუ არა სახალხო დამცველის ოფისისთვის, სასამართლოსთვის, პოლიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მიმართვას, თუკი დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები იქნებოდნენ. მონაცემები აჩვენებს, რომ 2021 წელს კვლავ პოლიციაა ის ინსტიტუტი, რომელსაც, რესპონდენტთა აზრით, შეუძლიათ, ასეთ დროს მიმართონ. გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ ყველა ინსტიტუტის შემთხვევაში მოსახლეობის ცოდნა 2018 და 2021 წლებს შორის თითქმის უცვლელი დარჩა. მიუხედავად ხალხის უმეტესობის მიერ პოლიციის დასახელებისა იმ ინსტიტუციად, რომელსაც, მათი აზრით, შეუძლიათ, მიმართონ, თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ უმცირესობის წარმომადგენლები ხშირად ძალიან არაკომფორტულად გრძნობენ თავს პოლიციისთვის მიმართვის დროს. მათი თქმით, პოლიციელის მხრიდან მათ მიმართვაზე ეფექტიანი რეაგირება მხოლოდ იღბალზე იყო დამოკიდებული.

გრაფიკი 28: ჯგუფები, რომელთათვის მიმართვაც, მოსახლეობის აზრით, მათ შეუძლიათ, თუკი სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლები გახდებიან



მონაცემები იმის თაობაზე, თუ ვის მიმართავდა ხალხი, არ შეცვლილა. 2021 წელს, 2018 წლის გამოკითხვის მსგავსად, მოსახლეობის ყველაზე დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ პოლიციას მიმართავდა, თუკი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენის ან დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდებოდა. რაც შეეხება პოლიციის გარდა სხვა ფორმალურ ინსტიტუტებს, როგორც 2018, ისე 2021 წლის გამოკითხვის თანახმად, მათთვის მიმართვის ნაცვლად, მოსახლეობა უმეტესად ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის მიმართვას ამჯობინებდა.

გრაფიკი 29: ვის მიმართავდა ხალხი, თუკი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი გახდებოდა



კითხვაზე, მიმართავდნენ თუ არა ვინმეს მედიით სიძულვილის ენის გავრცელების შემჩნევის შემთხვევაში, 2021 წელს დადებითი პასუხი მოსახლეობის 21-მა პროცენტმა გასცა, 2018 წელს კი - 20-მა პროცენტმა. ეს ცვლილება სტატისტიკურად უმნიშვნელოა. მათგან, ვინც თქვა, რომ ინციდენტზე რეაგირება ექნებოდა, 72 პროცენტი შეძლებდა პოლიციისთვის მიმართვას, 74 პროცენტი - სახალხო დამცველის ოფისისთვის, 62 პროცენტი - მაუწყებლის თვითმარეგულირებელი ორგანოსთვის, 60 პროცენტი - სასამართლოსთვის, 55 პროცენტი კი - საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისთვის. ეს მაჩვენებლები 2018 წლის მონაცემებთან თანხვედრაშია და ცნობიერების დონის მხრივ მნიშვნელოვან ცვლილებებზე არ მიუთითებს.

გრაფიკი 30: ვისთვის მიმართვას შეძლებდა ხალხი, თუკი მედიით სიძულვილის ენის გავრცელებას შეამჩნევდა



რაც შეეხება რესპონდენტებს, რომლებიც რეალურად მოახდენდნენ რეაგირებას მედიით სიძულვილის ენის გავრცელებაზე, მონაცემების თანახმად, ისინი ყველაზე ხშირად პოლიციასა და სახალხო დამცველს მიმართავენ. 2018 და 2021 წლების გამოკითხვებს შორის პოლიციის დასახელების თვალსაზრისით კლების ტენდენცია (10 პროცენტით) შეინიშნება, სახალხო დამცველის ოფისისა და

მაუწყებელთა თვითმარეგულირებელი ორგანოს დასახელების მხრივ კი - მზარდი ტენდენცია (9-9 პროცენტით).

გრაფიკი 31: ვის მიმართავდნენ ადამიანები, თუკი მედიით სიძულვილის ენის გავრცელებას შეამჩნევდნენ



საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახალხო დამცველის აპარატის საკვანძო როლის გამო, გამოკითხვა დამატებით მოიცავდა მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევას ამ ინსტიტუტის მიმართ. შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 57-მა პროცენტმა იცის სახალხო დამცველის აპარატის შესახებ, რაც სტატისტიკურად 2018 წლის მონაცემის მსგავსია (54 პროცენტი). მათ, ვისაც სახალხო დამცველის აპარატზე სმენია, დამატებითი კითხვები დაუსვეს მის როლზე, ასევე - უნდა ასრულებდეს თუ არა სახალხო დამცველის აპარატი ამ როლს. კვლევა აჩვენებს, რომ დამოკიდებულებები სტაბილურია, შესაბამისად, 2018 და 2021 წლებში ამ მხრივ მნიშვნელოვნად არაფერი შეცვლილა.

გრაფიკი 32: მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სახალხო დამცველის როლის შესახებ



დამოკიდებულება დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლი ინსტიტუტების/აქტორების მიმართ

კვლევა მოიცავდა კითხვებს დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი აქტორების მიმართ ნდობისა და მათი მუშაობის შესახებ. მონაცემების მიხედვით, 2018 წლის შემდეგ ამ აქტორების მიმართ ნდობა და მათი მუშაობის შეფასება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

გამოკითხვაში ნახსენები ინსტიტუტებიდან, კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე მაღალ ნდობას იუსტიციის სამინისტრო და კერძო ადვოკატები იმსახურებენ.[10] მაჩვენებლებში არსებული გარკვეული სხვაობა გამოკითხვების ცდომილების ზღვრის ფარგლებშია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ინსტიტუტების მიმართ ნდობა 2018-დან 2021 წლამდე პერიოდში არ შეცვლილა.

10 მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შედის, ამ ინსტიტუტებზე კითხვები ცალ-ცალკე დაისვა, რადგანაც საზოგადოებას მათ მიმართ შეიძლება, სხვადასხვა მოსაზრება ჰქონოდა. მართლაც, კვლევის შედეგების მიხედვით, სახეზეა განსხვავებული დამოკიდებულებები და, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შედარებით, მეტი ნდობა პოლიციის მიმართ.

გრაფიკი 33: ნდობა ინსტიტუტების მიმართ



შენიშვნა: დამრგვალების გამო, დიაგრამაზე წარმოდგენილი ზოგიერთი მაჩვენებელი შესაძლოა, 100%-მდე არ დაჯამდეს

რაც შეეხება კვლევის ფარგლებში ნახსენები ინსტიტუტების მუშაობის შეფასებას, ეს მაჩვენებლები 2018 წლის გამოკითხვის მონაცემების მსგავსია. ამ მხრივ, 2018-დან 2021 წლამდე პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოვლენილა.

გრაფიკი 34: ინსტიტუტების მუშაობის შეფასება



შენიშვნა: დამრგვალების გამო, დიაგრამაზე წარმოდგენილი ზოგიერთი მაჩვენებელი შესაძლოა, 100%-მდე არ დაჯამდეს

დასკვნები

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები 2018-2021 წლებში მოსახლეობის დამოკიდებულებებში გამოვლენილი ცვლილებებისა და ევროპის საბჭოს პროექტის მიერ სიძულვილის ენის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილის შესახებ შემდეგი დასკვნების გამოტანის საფუძველს გვაძლევს.

გამოკითხვის ახალი ტალღის მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობა, 2018 წელთან შედარებით, მეტად არის ინფორმირებული და უფრო დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების მიმართ. ეს ვლინდება შემდეგ ფაქტორებში: ხალხი უფრო მეტად ასახელებს ქვეყანაში არსებული უმცირესობების ჯგუფებს. ასევე, ორნიშნა რიცხვითაა გაზრდილი მოსახლეობის წილი, რომელიც მრავალფეროვნების სხვადასხვა ფორმას (ზოგადად მრავალფეროვნებას, ეთნიკურ მრავალფეროვნებასა და რელიგიურ მრავალფეროვნებას) ქვეყნისთვის დადებით მოვლენად აღიქვამს. გარდა ამისა, გამოკითხვის პირველ ტალღასთან შედარებით, მოსახლეობის მნიშვნელოვნად უფრო დიდი ნაწილი ამბობს, რომ მისნაირ ადამიანს მოუწონებდა საქმიან ურთიერთობას სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ეხება როგორც ჰომოსექსუალებს, ისე იეჰოვას მოწმეებს - ორ ჯგუფს, რომელთა მიმართ 2018 წლის გამოკითხვაში მოსახლეობა ყველაზე უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა.

ასევე, მონაცემები დადებით ტენდენციაზე მიუთითებს უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების ცოდნისა და მათი დაცვის მნიშვნელობის აღიარების თვალსაზრისით. 2021 წელს გამოკითხვაში ნახსენები 14 უფლებიდან მოსახლეობა, საშუალოდ, 1.2-ით მეტ უფლებას ასახელებს, ვიდრე 2018 წელს. ასევე, ხალხი უფრო მეტად მიიჩნევს, რომ უმცირესობების უფლებების დაცვა საჭიროა. მათ შორის, გაზრდილია ლგბტ თემის უფლებების დაცვის მნიშვნელობის აღქმაც.

მოსახლეობაში გაზრდილია ცნობიერება და ცოდნა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, სიძულვილის ენის გამოვლინებებისა და იმის შესახებ, თუ ვისზე ახდენს ეს გავლენას. 2018 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად ნაკლები ადამიანი ამბობს, რომ საქართველოში უმცირესობებს პრობლემები არ აქვთ. ნაკლებ ადამიანს სჯერა, რომ სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფი არასდროს ხდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი ან სიძულვილის ენის სამიზნე. ასევე, მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემებია.

მართალია, მრავალფეროვნების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების მხრივ მზარდი დადებითი ტენდენცია შეინიშნება, მაგრამ ძალიან მცირე ან სულაც არანაირი ცვლილება არ ვლინდება დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ცოდნაში. სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმების შესახებ

ინფორმაციის ქონა და მათი ეფექტიანობის შეფასებაც იმავე დონეზე რჩება. უმნიშვნელოა ცვლილებები ასევე მოსახლეობის შეხედულებებში ამ საკითხებზე მომუშავე აქტორების საქმიანობის მიმართ.

ზემოთ აღწერილი შედეგები კონტრასტულ ტენდენციას აჩვენებს: ერთი მხრივ, საზოგადოება უფრო ტოლერანტი ხდება, თუმცა, მეორე მხრივ, გაზრდილ ნდობასა და ცოდნას არ ამჟღავნებს სიძულვილის ენის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმალური მექანიზმების მიმართ. ეს შეიძლება იმაზე მიანიშნებდეს, რომ ხელისუფლების ძალისხმევას ამ მიმართულებით ახალი ენერგია სჭირდება საზოგადოებასთან მუშაობის გასაგრძელებლად.

KAT

www. coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE